# კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის და მდგრადობის (CSR-ის) დაინტერესებულ მხარეთა ფორუმის დამფუძნებელი ქარტია

## I. შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და მდგრადობა (CSR) გლობალური მნიშვნელობის საკითხია. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა შეუძლებელია კერძო სექტორის მონაწილეობის გარეშე, ხოლო კორპორაციული პასუხისმგებლობა წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში ბიზნესის ჩართულობის ფორმას.

საქართველოში ევროინტეგრაციის პროცესის დაჩქარების კვალდაკვალ სულ უფრო აქტუალური ხდება ქართული კომპანიების საქმიანობის დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან, რის მნიშვნელოვან საკითხსაც წარმოადგენს კორპორაციული პასუხისმგებლობა და მდგრადობა.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობის და წახალისების ვალდებულება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების რამდენიმე მუხლში არის ჩამოყალიბებული (კარი IV, მე-13 თავის მუხლები 231e, 239g; კარი VI, მე-14 თავის მუხლები 348, 349i, 352). გარდა ამისა, ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული მრავალი სხვა ვალდებულების  შესრულება აგრეთვე მოიაზრებს კერძო სექტორის აქტიურ მონაწილეობას.

ევროკომისიის რამდენიმე ბოლოდროინდელი დირექტივა საკანონმდებლო დონეზე აწესებს ადამიანის უფლებების და გარემოს დაცვის  საკითხების გათვალისწინების ვალდებულებას კომპანიის მართვასა და საქმიანობაში.  ეს ვალდებულება გავრცელდება კომპანიების მთლიან ღირებულებათა  ჯაჭვებზე და ამგვარად ზეგავლენას მოახდენს სხვა ქვეყნების კომპანიებზეც, ევროკავშირის მიღმა.

# Founding Charter of the Stakeholder forum for Corporate Social Responsibility and Sustainability (CSR)

## I. Preamble

Corporate Social Responsibility and Sustainability (CSR) is an issue of global relevance in the modern world. It is commonly recognized that it is impossible to reach Sustainable Development Goals without private sector participation, and Corporate Social Responsibility represents a way business can contribute to Sustainable Development Goals.

In line with Georgia’s goal for Euro-integration, it is increasingly important to align Georgian business practices with European standards. Corporate Social Responsibility and Sustainability are important parts of this effort.

There are several articles in the EU-Georgia Association Agreement that refer to obligations to promote and support CSR and Sustainability (Title IV, chapter 13, articles 231e, 239g; Title VI, chapter 14, articles 348, 349i and 352). Furthermore, many other commitments of the Association Agreement also envision active private sector participation for their accomplishment.

European Commission has adopted several proposals for legislation that will establish legally binding duties for businesses to respect human rights and the environment. This will include responsibility for a company’s entire value chain, thus will effect businesses in non-EU countries.

Considering all the above mentioned, it is of utmost importance to support CSR at the state policy level.

ზემოთქმულის გათვალისწინებით სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს კორპორაციული პასუხისმგებლობის/პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფო  დონეზე.

ევროკავშირის ქვეყანათა უმრავლესობის, ისევე როგორც დასავლეთის მრავალი განვითარებული ქვეყნის მთავრობა ახორციელებს CSR-ის მხარდამჭერ აქტიურ პოლიტიკას.

ქმედითი და რელევანტური სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტური ფორმულირებისა და განხორციელებისათვის, ასევე ქვეყანაში პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის წახალისებისათვის მნიშვნელოვანია ამ პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობა, ბიზნესის, სამოქალაქო და საჯაროს ექტორთა დიალოგის წარმართვა და კოორდინირებული მოქმედება.

ამგვარი ჩართულობისა უზრუნველყოფის მიზნით, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, საქართველოში ფუძნდება *„კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი“* - იდეაზე  დაფუძნებული, დამოუკიდებელი, არაფორმალური, ნებაყოფლობითი ინიციატივა, რომელიც აერთიანებს  მრავალ დაინტერესებულ მხარეს და შექმნის სხვადასხვა სექტორის დიალოგისა და თანამშრომლობის პლატფორმას CSR-თან დაკავშირებული პოლიტიკის  და პრაქტიკის საკითხებზე.

მსგავსი ფორუმებისა და პლატფორმების არსებობა გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ევროკავშირში.

საქართველოს CSR დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი ფუძნდება ევროკავშირის მხარდაჭერითა და კონრად ადენაუერის ფონდის ხელმძღვანელობით მიმდინარე სამოქალაქო საზოგადოების STAR ინიციატივის („სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“) ფარგლებში.

Governments of most of European counties, as well as many other western developed countries actively carry out policies that support CSR.

One of the important preconditions for the development and implementation of an effective policy for CSR is engagement of various interest groups linked to Corporate Social Responsibility, and coordination of a dialogue and cooperation between private, civil, and public sectors.

To facilitate this engagement, a CSR Stakeholder Forum is established in Georgia in line with international best practices. The Forum is a vision-driven, independent, informal, voluntary initiative that brings together numerous stakeholders and creates a platform for dialogue and cooperation on issues related to policy and practice of Corporate Social Responsibility.

Existence of multistakeholder consultative bodies on CSR and sustainability policy issues is a widespread practice in western developed countries, particularly in the European Union.

The CSR Stakeholder Forum in Georgia is established within the frames of the Civil Society STAR Initiative (CSOs as Sustainable, Transparent, Accountable and Resilient Development Actors in Georgia) implemented with support of the European Union (EU) and Konrad-Adenauer-Stiftung (KAS).

- ***ფორუმის ხედვა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ***

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა კომპლექსური ცნებაა, რომელიც მრავალ სფეროს მოიცავს. ამ კონცეფციის აღსანიშნად გამოიყენება ასევე ტერმინები: კორპორაციული პასუხისმგებლობა, კორპორაციული მდგრადობა, პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობა, სოციალური, გარემოსდაცვითი და მართვის საკითხები (ESG) და სხვა.

ევროკომისიის განმარტების, საერთაშორისო CSR სტანდარტის (ISO 26000), OECD-ის სახელმძღვანელო მითითებების  და სხვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ფორუმი განმარტავს კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას (CSR-ს) როგორც კომპანიის პასუხისმგებლობას  იმ ზეგავლენაზე, რომელსაც იგი თავისი გადაწყვეტილებებითა და საქმიანობით ახდენს ბუნებრივ გარემოზე, ეკონომიკურ სისტემებსა  და ადამიანებზე, ანუ საკუთარ თანამშრომლებზე, მომხმარებლებზე, მომწოდებლებზე, პარტნიორებზე, ადგილობრივ თემებსა და, ზოგადად, საზოგადოებაზე.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს კომპანიის საქმიანობის წარმართვას სოციალური, გარემოსდაცვითი და ფართო ეკონომიკური მიზნების გათვალისწინებით, გამჭვირვალედ და ეთიკურად, დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობით და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პასუხისმგებელი კომპანიის მიზანია საერთო ღირებულების შექმნა საკუთარი მფლობელების/მეწილეებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის, ასევე, მთლიანად საზოგადოებისათვის და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში წვლილის შეტანა.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს ბიზნესის ნებაყოფლობით ვალდებულებას დააკმაყოფილოს პასუხისმგებელი და მდგრადი ბიზნესსაქმიანობის უფრო მაღალი საერთაშორისო სტანდარტები, ვიდრე კანონმდებლობით ეკისრება.

- ***Understanding of CSR by the Forum***

Corporate Social Responsibility (CSR) is a complex, multidimensional concept that cuts across many fields. Other terms used to denote the same concept are corporate responsibility, corporate sustainability, responsible business conduct (RBC), environmental, social and governance issues (ESG).

The CSR Stakeholder Forum defines Corporate Social Responsibility in line with the European Commission, International CSR Standard (ISO 26000), OECD Guidelines and other international standards. As such, the Forum defines CSR as the responsibility of an organization for the impacts of its decisions and activities on the environment, broader economic systems and the people - its own employees, customers, suppliers, partners, local communities and the general public.

This responsibility entails doing business with consideration of broader societal, environmental, and economic objectives in a transparent and ethical way, with close cooperation between stakeholders and in compliance with international standards.

The overarching objective of a company’s corporate responsibility is to maximize shared value both for its owners/shareholders and other stakeholders as well as for the society at large; and to positively contribute to sustainable development.

CSR is a company’s voluntary decision to meet higher international standards of sustainable and responsible business conduct than those imposed by national legislation.

## II. ფორუმის მისია და მიზნები

**ფორუმის მისიაა** საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადობის საკითხებზე დაინტერესებულ მხარეთა დიალოგის წარმართვა და პასუხისმგებელი ბიზნეს საქმიანობის მხარდამჭერი პოლიტიკური და ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და ევროპული ინტეგრაციისთვის.

აღნიშნული მისიის შესასრულებლად ფორუმს დასახული აქვს **შემდეგი მიზნები:**

1. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მხარდამჭერი ჩარჩო-პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით და ხელისუფლების სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობით
2. მდგრადი და პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა ეროვნულ დონეზე
3. მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დღის წესრიგის შესრულებაში ბიზნესის ჩართულობის გაზრდა
4. CSR საკითხებზე დაინტერესებულ მხარეთა დიალოგის და თანამშრომლობის ხელშეწყობა
5. ქვეყნის განვითარებისა და ევროპული ინტეგრაციისთვის პასუხისმგებელი ბიზნეს საქმიანობის მნიშვნელობის აღიარება ეროვნულ დონეზე
6. ქვეყანაში CSR ინიციატივების შესახებ ცნობადობის გაზრდა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

**ფორუმის დღის წესრიგი განისაზღვრება 2024 წლის ბოლომდე**, სამოქალაქო საზოგადოების STAR ინიციატივის ვადების შესაბამისად, რის შემდეგაც ფორუმი განაახლებს დღის წესრიგს ახალი გარემოებებისა და შეძენილი გამოცდილების გათვალისწინებით.

## II. Mission and objectives of the Forum

The Forum's mission is to contribute to multi-stakeholder dialogue on CSR and promote CSR-enabling policy and an institutional environment to facilitate Georgia's sustainable development and European integration.

**In line with this mission, the Forum has following objectives:**

1. Contribute to the creation and implementation of framework policies that support CSR through multi-stakeholder dialogue and close cooperation with government agencies.
2. Foster implementation of international standards on responsible business conduct and corporate sustainability at the national level.
3. Encourage business involvement in fulfilling national agenda on Sustainable Development Goals (SDGs).
4. Foster stakeholder dialogue and cooperation on CSR issues.
5. Facilitate a national-level acknowledgement of the importance of responsible business operations for sustainable development of the country and its European integration.
6. Raise awareness of CSR initiatives and best practices in Georgia.

**The Forum's agenda** runs for 2022-2024, in line with the Civil Society STAR project timeline. After this period, the Forum may revise its agenda and format based on emerging new trends and lessons learned.

## III. ფორუმის შემადგენლობა

ფორუმი აერთიანებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს და სუბიექტს - კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორიდან: სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ბიზნეს ასოციაციებს, კერძო სექტორის წარმომადგენლებს, საგანმანათლებლო/აკადამიურ დაწესებულებებს, დასაქმებულთა კავშირებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, სახელმწიფო ორგანოებს.

ფორუმის წევრების რაოდენობა განსაზღვრული არ არის. შემოერთება შეუძლია ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადობის საკითხებთან მიმართებით დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენს.

ფორუმთან შესაერთებლად საჭიროა ორგანიზაცია იზიარებდეს ფორუმის მიზნებს და ორგანიზაციის სულ მცირე ერთი წარმომადგენელი მონაწილეობას იღებდეს ფორუმის საქმიანობაში.

ფორუმთან შემოერთება ფორმალურად გაფორმდება ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის მხრიდან ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერით.

წევრმა შეიძლება დატოვოს ფორუმი საკუთარი სურვილის საფუძველზე.

ფორუმის წევრი ორგანიზაცია შეიძლება გაირიცხოს თუ იგი ან მისი წარმომადგენელი მიზანმიმართულად ეწევა ფორუმის მიზნების დისკრედიტაციას, უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებსა და საყოველთაოდ აღიარებულ ეთიკის ნორმებს.

**სფეროს ინდივიდუალური ექსპერტები** შეიძლება ჩაერთონ ფორუმის საქმიანობაში ასოცირებული წევრების სტატუსით.

## III. Composition of the Forum

The Forum brings together multiple stakeholders from private, civil, and public sectors such as: civil and international organizations, business associations, private sector representatives, educational/academic establishments, employee unions, public law legal entities, and government agencies.

The number of forum members is not pre-determined. Any organization that is a stakeholder in CSR and sustainable development issues may join.

In order to join the Forum, an organization has to share its goals and at least one representative of an organization has to participate in the Forum's activities.

Joining the Forum will be formalized through signing the Memorandum of Understanding by an authorized representative of an organization.

A member may leave the Forum on a voluntary basis.

A member organization may be expelled from the Forum if it or its representative is purposefully discrediting the Forum's goals, blatantly violates human rights and universally recognized ethical norms.

**Individual subject-matter experts** may join the Forum's activities as associated members.

## IV. საქმიანობის ფორმატი

ფორუმი დამოუკიდებელია და თავად განსაზღვრავს საკუთარი საქმიანობის ფორმატს და წესებს.

ფორუმის საქმიანობა ხორციელდება პერიოდული სესიების მოწვევით და მუდმივმოქმედი საბჭოს და სამდივნოს მეშვეობით, ასევე დროებითი სამუშაო ჯგუფების მეშვეობით.

## IV. Frame of Operation

The Forum is independent and establishes its own rules and formats of procedure.

ფორუმი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან, საქართველოს პარლამენტთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ფორუმს აგრეთვე შეუძლია მთავრობას მიაწოდოს  რეკომენდაციები და დასაბუთებული მოსაზრებები.

## V. ფორუმის შეხვედრები

ფორუმის შეხვედრები/სესიები იმართება საჭიროებიდან გამომდინარე, სულ მცირე წელიწადში ორჯერ.

ფორუმის შეხვედრები დახურულია და წევრებისთვის არის განკუთვნილი.

## VI. მოწვეული სტუმრები

ფორუმმა შეიძლება ცალკეულ სხდომებზე მოიწვიოს სტუმრები - არაწევრი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სხვადასხვა სფეროს დამოუკიდებელი ექსპერტები,  რომლებიც კონკრეტული საკითხის დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენენ  და წვლილს შეიტანენ ცალკეულ განხილვებში საკუთარი ექსპერტიზისა და გამოცდილების საფუძველზე.

## VII. სამუშაო ჯგუფები

საჭიროების შემთხვევაში ფორუმს შეუძლია კონკრეტულ საკითხზე სამუშაოდ, დროის გარკვეული პერიოდით ჩამოაყალიბოს სამუშაო ჯგუფი ფორუმის ცალკეული წევრებისგან და/ან მოწვეული ექსპერტებისაგან, რომელიც ჩაერთვება ფორუმის მუშაობაში ცალკეული პროექტების/ინიციატივების ფარგლებში  და რომელიც მუშაობის შედეგებს წარუდგენს ფორუმს განსახილველად.

## VIII. საბჭო

ფორუმის მართვის ძირითადი ორგანოა 9 წევრისგან შემდგარი საბჭო, რომელიც სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული.

The functioning of the Forum is carried out through periodic convening of the plenary session and its permanent Board and Secretariat, as well as through temporary Work Groups.

The Forum closely collaborates with the Government of Georgia, Parliament of Georgia and other stakeholders. The Forum may also provide the government with recommendations, position statements, and opinions.

## V. Forum meetings/sessions

The Forum’s meetings/ plenary sessions convene as necessary, at least twice a year.

The Forum’s meetings are closed and intended only for the members.

## VI. Invited guests

The Forum may, on respective sessions, invite guests – this may include representatives of non-member organizations, independent experts from various fields that hold stakes on specific issues and can contribute to discussion based on their expertise and experience.

## VII. Working groups

If needed, the Forum can form temporary Working Groups to address specific issues for pre-determined amount of time, comprised of individual members and/or invited experts. The Working Group may become involved in individual projects/initiatives and shall present its results to the Forum for consideration.

## VIII. Board

The primary governing body of the Forum is the Board, which is comprised of maximum 9 members that represent various sectors.

საბჭოს წევრთა მანდატი განისაზღვრება 1 წლის ვადით, გაგრძელების შესაძლებლობით.

CSRDG-ს, როგორ ფორუმის სამდივნოს, აქვს საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსი (ex-officio member).

საბჭოს სხდომები იმართება არანაკლებ წელიწადში ორჯერ.

საბჭოს ფუნქციებია:

- ფორუმის საქმიანობის დღის წესრიგის განსაზღვრა
- არსებულ და პოტენციურ პარტნიორებთან და საერთაშორისო დონორებთან კომუნიკაცია
- გადაწყვეტილების მიღება ახალი წევრების დამტკიცების ან წვერის გარიცხვის თაობაზე
- გადაწყვეტილების მიღება სამუშაო ჯგუფების შექმნის თაობაზე
- მთავრობასთან ფორუმის თანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობა.

საბჭოს წევრები არ იღებენ ანაზღაურებას და მუშაობენ მოხალისეობრივ საწყისებზე.

## IX. სამდივნო

ფორუმის საქმიანობის ადმინისტრირებას, ორგანიზაციულ და ანალიტიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს სამდივნო. სამდივნოს ფუნქციას ასრულებს  საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე „სამოქალაქო საზოგადოების STAR ინიციატივის“ ფარგლებში).

სამდივნოს ფუნქციებია:

- ფორუმის საქმიანობის კოორდინირება
- წევრის სტატუსით მონაწილეობის მიღება ფორუმის საბჭოს მუშაობაში
- საბჭოს შეხვედრებისა და ფორუმის სხდომების ორგანიზება, დღის წესრიგის შემუშავება, ფორუმის სხდომების წარმართვა /თავმჯდომარეობა

The Board is elected for the duration of 1 year with possibility of extension.

CSRDG, as the Forum’s Secretariat, is a permanent (ex-officio) Board member.

Board meetings shall be conducted no less than twice per year or as needed.

Board responsibilities includes:

- Setting the agenda for the Forum
- Communicating with existing and potential partners and international donors
- Approving new member appointments and member expulsions
- Approving Working Groups
- Facilitating deeper cooperation between the Forum and the government.

The Board members are not compensated and operate on a pro bono basis.

## IX. Secretariat

Administration of the Forum’s activities, as well as organizational and analytical support, is provided by the Secretariat. Secretariat duties will be handled by CSRDG through the Civil Society STAR Initiative implemented with European Union support.

The Secretariat has the following responsibilities:

- Coordinating the Forum’s activities
- Participating as a Board member
- Organizing the Board meetings and the Forum sessions develop agendas, run and chair the Forum meetings

- საჭიროების მიხედვით სამუშაო ჯგუფების დაკომპლექტება (საბჭოსთან შეთანხმებით) და მათი მუშაობის კოორდინირება
- საბჭოსთან შეთანხმებით ახალი წევრების მიღება
- სტუმრების მოწვევა ფორუმის სხდომებზე
- მთავრობასთან ფორუმის თანამშრომლობის კოორდინირება

- Conducting selection of Working Groups with Board's approval and coordinating their work, as needed
- Approving new members together with the Board
- Inviting guests to the sessions
- Coordinating the Forum's cooperation with the government